ცნობის ფურცელი

№ 2206 პარასკევი, 11 ივლისი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2206

ხელის-მოწერის ფასი: წლიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—5 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ყოველდღიური სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ. ხელის-მოწერა და განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირადპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

3 მან. და 50 კ. ღირს ყოველდღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი“

კვირაში ორის სურათებიანის დამატებით 1 ივლისიდან წლის დამლევამდე

აზ. გრიგოლ ალექსანდრეს ძე წერეთელი და **ნეოლინა დავითის ასული წერეთლისა** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ გარდაცვალებულის მათის შვილის

ვლადიმერის

ორმოცის პანაშვიდი დანიშნულია 15 ივლისს, ნაშუადღევს ოთხი საათისათვის, სოფ. პატარა ჯიხაიშს, მაცხოვრის ეკკლესიაში. (ნ 1—1).

ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, დილით:

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი: ორშაბათობით, ოთხშ. და შაბათობით 10—11 ს.-მდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 11—1 ს.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: სამშაბათობით და შაბათობით, 11—12 საათამდე

ზრ. მ. ხოზოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

სამკურნალოს აქვს ოცი საწოლი კრავატი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები—სამი მანათიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, გედიკოხიანცის ქუჩა, სახლი აბრამოვისა, № 9, მიხეილის ქუჩიდან კი 34 Б.

(წდ.) **ტელეფონი № 274.**

რადგან კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

1 ივლისიდან 10 აგვისტომდე სოფლად იქმნება, ავადმყოფების მიღება ტფილისში ამ დრომდე შეწყვეტილი იქმნება. (5—4)

ექიმი

ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხისთან. **ტელეფონი 612**

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

საზღვარ-გარედ

ავსტრო-უნგრეთი. ხორვატები დღესაც არა წყნარდებიან და წინანდებურად ღელავენ. გაზეთები სწერენ: ზოგან გლეხები ეკკლესიებში შედიან და ფიცსა სდებენ, უნგრი-კანდიდატები ლანდტაგის წევრად აღარ ავირჩიოთო. მარტო სიტყვით ფიცსაც არა სჯერდებიან, ფიცის ფურცლებს აწერინებენ, ხელს აწერენ და მღვდლებს აბარებენ შესანახად. ივანეცის ოლქში ამ დღეებში გლეხკაცებსა და პოლიციელებს დიდი შეტაკება მოსვლიათ. პოლიციელებს რევოლვერები უსროლიათ გლეხებისათვის და 10 კაცი დაუჭრიათ, ამათში 4 მძიმედაა დაჭრილი. 1 ივლისს ღამით ზაგრებში დინამიტით აუფეთქებიათ გაზეთ „ნაროდნე ნოვინე“-ს რედაქციის სადგომი და კონსისტორიის წევრის დეპუტატ მატუნცისა, ეპისკოპოს კრაბაკისა და მღვდლის შვინდერმანის სახლები. აფეთქების დროს კაცი არავინ მომკვდარა, მაგრამ ზოგიერთა შენობა კი ძლიერ დაზიანებულა. აფეთქების მომხდენნი ჯერ ვერ აღმოუჩენიათ.

◆ 1 ივლისს უნგრეთის დამოუკიდებლობის პარტიას კრება მოუხდენია ბარაბაშის ბინაზე და მოულაპარაკნია რა ნაირ ტაქტიკას დაადგეს პარტიაო. კრებას 40 დეპუტატი დასწრებია და დაუდგენიათ, კიდევ ერთხელ ვცადოთ და პირველ მინისტრ ჰედერვარის გარკვევით და ცხადად ვათქმევინოთ, როგორ უყურებს უნგრეთის სამხედრო მოთხოვნილებას; თუ მინისტრმა კაი პასუხი არ მოგვცა, ისევ ობსტრუქციას გავმართოთო. ამ დადგენილების გამო ზოგიერთი გაზეთი ამბობს, შეიძლება უნგრეთში მალე ისევ სამინისტროს კრიზისი მოხდეს და ჰედერვარის მაგიერ სხვა კაცი დაინიშნოსო. მაგრამ ჰედერვარიმ, შეიძლება, უამისოდაც თავი დაანებოს პირველ მინისტრობას; იქნება ავსტრო-უნგრეთის საიმპერიო ფინანსთა მინისტრად დააყენონ გარდაცვალებულ ბარონ კალაის მაგივრად. ეს თანამდებობა აუცილებლად უნგრეთის კანდიდატს შეხვდება, რადგან ავსტრო-უნგრეთის ორი სხვა საერთო საიმპერიო მინისტრი—ავსტრიელები არიანო.

იტალია. რომიდან სწერენ რუსულ გაზეთებს: „ვატიკანში ეშინიანთ, ვაი თუ პაპის სიკვდილის შემდეგ კარდინალ ორელიასა და რამპოლას შეტაკება მოუვიდეთ პოლიტიკურ ანდერძის გამო. მომაკვდავ პაპმ რამპოლას პოლიტიკური ანდერძი უკარნახა თურმე; პაპის ანდერძში დარიგება სწერია, თუ რა პოლიტიკას უნდა დაადგეს იმისი მოადგილე და, როგორც ირწმუნებიან, პაპი თხოულობს, იმავ მშვიდობიან გზას დაადექით, როგორსაც მე ვადექიო. ამ ანდერძზე ლეონ მე XIII-ს ხელიც მოუწერია, მაგრამ ორელია არ დასთანხმდება, რომ ეს ანდერძი გამოცხადდეს, რადგან, ორელიას აზრით, ეს ანდერძი თითონ კარდინალ რომპოლას დაწერილია და რომ გამოცხადდეს, დიდ გავლენას იქონიებს ახალ პაპის არჩევნის დროსაო. რადგან გარდაცვალებულ პაპის ლეონ მე-XIII-ეს უკანასკნელი ნება კარდინალებმა მოჩენიმა და გოტიმ უნდა აასრულონ, ამიტომ ესენი მოსთხოვენ კარდინალ ორელიას, რომ პაპის ანდერძი გამოაცხადოს.

◆ პაპის ტახტის უმთავრესი კანდიდატები სულ მოხუცებული ხალხი არიან, კარდინალ ორელია—75 წლისაა, გოტი—69 წლ., სვამპა 54 წლისა, ვანუტელი 71 წლისა, ალიარდი 61 რამპოლა—60 წლ. და კაპეჩელატრო—80 წლ.

◆ პაპის ავადმყოფობის დროს, ნეაპოლში ქალაქის საბჭოში ზოგმა მოითხოვა, პაპის თანაგრძნობის დეპეშა გავუგზავნოთო. სამაგიეროდ ზოგმა ხმოსანმა მედგარი პროტესტი გამოაცხადა ამ წინადადების წინააღმდეგ: მაგისთანა დეპეშას ვერ გავუგზავნით, რადგან ლეონ მე-XIII-ეს წინამოადგილემ პაპი პიოს IX ის ჯარი დალოცა, რომელიც იტალიის წინააღმდეგ იბრძოდაო. ამ სიტყვის გაგონებაზე საბჭოში დიდი არეულობა დაიწყო. გაისმა ხმა: „სტყუით, დაიღუპოს ურწმუნო ხალხი“! გაიმართა მუშტი-კრივი, ბოლოს საქალაქო პოლიცია გაერია საქმეში და თავმჯდომარე იძულებული იყო სხდომა დაეხურა. თანაგრძნობის დეპეშა მაინც არ გაუგზავნეს პაპის.

საფრანგეთი. მართლ-მორწმუნე კათოლიკეთ, რაღა თქმა უნდა, გულს დასწყვეტდათ პაპის გარდაცვალების ამბავი. კლერიკალები ყველგან დიდს საგონებელში იქნებიან ჩავარდნილნი, ამათთვის მეტის-მეტად საინტერესოა ვის აირჩევენ პაპად, მომავალი პაპიც ისეთი მოხერხებული, გამჭრიახე კაცი გამოდგება, როგორიც იყო განსვენებული პაპი ლეონ მე-XIII-ე, თუ არა, კლერიკალებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ახალ პაპის არჩევანს. მაგრამ ჩვენის დროის დემოკრატია კი სულ სხვანაირად უცქერის საქმეს. „რუსკია ვედომოსტი“-ს პარიზელი კორესპონდენტი იწერება:

„აქ ყველას ესმის, რომ პაპები დღემდე დიდს როლს თამაშობენ: თუმცა საერო ხელმწიფობა დაჰკარგეს, მაგრამ თავიანთ მხნე, გამოცდილ დიპლომატიისა და მორჩილ სამღვდელოების შემწეობით დიდი გავლენა აქვთ ყველა კათოლიკეთა ქვეყნების პოლიტიკურ ცხოვრებაზე და, რასაკვირველია, საფრანგეთის ცხოვრებაზედაც. მე-XIX საუკუნის განმავლობაში პაპები ყველა პოლიტიკურ საქმეში ერეოდნენ და კლერიკალთა პარტიებს ყველგან თავიანთ ნებაზე განაგებდნენ. ამიტომ, რაღა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს, რა ხასიათისა და რა მიმართულების კაცი ზის პაპის ტახტზე. ეჭვი არაა, რომ ეხლანდელი ანტიკლერიკალური ბრძოლა საფრანგეთში სხვა ნაირად წავიდოდა, მეტადრე დასაწყისში, ვატიკანში რომ მოხერგებულ, ფრთხილ და დიპლომატ ლეონ მე-XIII-ეს მაგიერ მკაცრი და მოურიგებელი კაცი მჯდარიყო, როგორიც იყო იმისი წინამოადგილე პიუს IX, ან როგორიცაა ეხლანდელი კარდინალი ორელია. მაგრამ ჟორესი სამართლიანად ამბობს, საფრანგეთის საზოგადოებრივი ცხოვრება ისეთის გზით მიდის და საფრანგეთის საზოგადოება იმდენად განთავისუფლდა კლერიკალთა გავლენისაგან, რომ პაპის პოლიტიკას რაც უნდა მკაცრი, ანუ მოხერხებული იყოს, დიდი მნიშვნელობა აღარა აქვს: ამ პოლიტიკას თავისი დრო მოუჭამია, იმისი წირვა გამოსასვლელზეა. ამნაირ პოლიტიკას მრავალი შეცდომა და მარცხი მოსდის; პაპის საკუთარ ხასიათს თან-და-თან მნიშვნელობა ეკარგება; ეხლანდელ დროში პაპი რანაირ ხასიათისაც უნდა იყვეს, იმას-ღა თუ მოახერხებს, რომ ცოტათი დააგვიანებს იმ წამს, როდესაც კათოლიკე ეკკლესია საბოლოოდ განცალკევდება სახელმწიფოსაგან. ამიტომ აქაური რადიკალები არაფერ მნიშვნელობას არ აძლევენ პაპის არჩევანს და თავს არ იწუხებენ იმაზე, თუ პაპი ლეონ მე-XIII-ს შემდეგ ვინ იქნება პაპად: კარდინალი ორელია, თუ ფრანგ ეპისკოპოსების კანდიდატი ალიარდი, ლიბერალი კარდინალი კაპეჩელატრო, თუ გერმანელების მეგობარი ვანუტელი.

ლეონ მე-XIII-ე ლიბერალად ითვლებოდა, მაგრამ მთელი თავისი ძალა და ღონე მარტო იმას მოახმარა, რომ კათოლიკე ეკკლესიისა და კლერიკალურ პარტიის ძალა და გავლენა გაეძლიერებინა. იმისი წინა მოადგილე პაპი პიოს მე-IX-ეს დროს საფრანგეთის სამღვდელოება ძალას ატანდა მარშალ მაკმაგონს, რომ რესპუბლიკა დაემხო და სამეფო ტახტი აღედგინა. პაპი ლეონ მე-XIII ამავე პოლიტიკას ადგა; იმის დროსვე საფრანგეთის სამღვდელოება ყოველნაირ დახმარებას უწევდა ტახტის მაძიებელ ორლეანისტებს. ამ ნაირ პოლიტიკაზე პაპმა ლეონ მე-XIII-ემ მარტო მაშინ აიღო ხელი, როცა რესპუბლიკელებმა ბულანჟისტები გაანადგურეს. მხოლოდ ამის შემდეგ ლეონ მე-XIII-მ შესცვალა თავისი პოლიტიკა და კლერიკალებს უბრძანა, რესპუბლიკას მხარი დაუჭირეთო. კათოლიკე ეკკლესიას საფრანგეთში ეხლა მომეტებულ ნაწილად თავად-აზნაურობა და ბურჟუაზია იცავს. ესენი ყოველ წელს დიდს ფულს უგზავნიან პაპის და სამღვდელოებასა და კლერიკალურ პარტიასაც ძლიერ ეხმარებიან. მაგრამ პაპის მშვენივრად ესმოდა, რომ მომავალი დემოკრატიას ეკუთვნის და არა თავად-აზნაურობასა და ბურჟუაზიას და კიდეც ეცადა, რომ დემოკრატიის გული მოეგო და „მუშების პაპის“ სახელი დაემსახურნა. მაგრამ დემოკრატია აქაც მალე მიჰხვდა პაპის გულის წადილს და პაპიმ ამაზედაც ხელი აიღო. ამნაირსავე ფრთხილ პოლიტიკას დაადგა პაპი იმ დროსაც, როცა საფრანგეთის სამღვდელოებამ და კონგრეგაციებმა ბრძოლა აუტეხეს მთავრობას. პაპიმ მშვენივრად იცოდა, რომ ვერას გახდებოდა მთავრობასთან და თავის ერთგულ მსახურთ ყოველნაირად აფრთხილებდა, ძალიან ცხარედა და ფიცხად ნუ მოიქცევით, მაგით მხოლოდ აღსასრულის დღეს მოუსწრაფებთ ეკკლესიასაო. ცხადია, ამბობენ დემოკრატები, ასევე მოიქცევა ახალი პაპიც, რანაირის ხასიათისა და მიმართულების კაციც უნდა იყვესო. თუ ვინიცობა უფრო გაბედულად და მედგრად მოიქცევა, ამით მხოლოდ სარგებლობას მოუტანს დემოკრატიასაო: მაშინ რესპუბლიკის მთავრობაც ადგება და ეკკლესიას სახელმწიფოსაგან განაცალკევებსო“.

გერმანია. სოციალ-დემოკრატების გამარჯვებამ დიდი გავლენა იქონია. ბურჟუაზიის წარმომადგენელნი ეხლა სულ სხვა კილოთი ლაპარაკობენ თურმე სხვა-და-სხვა სოციალურ საქმეზე. „რუსკია ვედომოსტი“ ს ბერლინელი კორესპონდენტი იწერება:

„ერთის გაზეთის რეპორტიორს უკითხავს ბერლინის ტრამვაიების დირექტორისათვის: „რა აზრისა ხართ იმაზე, რომ მუშებს თავიანთი წარმომადგენლები ჰყავდეთ ყველა იმ დავისა და უთანხმოების გადასაწყვეტად, რაც მუშებსა და საქმის პატრონებ შუა ასტყდება ხოლმეო?“ დირექტორს უპასუხნია, რომ მუშებს აუცილებლად უნდა ჰყავდეთ ამნაირი წარმომადგენლებიო. მეტადრე დიდ საქმეებში უამისოდ იოლად ვერავინ წავაო. როცა მრავალ მუშასთან გაქვს საქმე, ყველას ის ემჯობინება, ხუთი ან 10 წარმომადგენელი აარჩევინო და ყოველი მოლაპარაკება იმათთან იქონიო. რასაკვირველია, პირველად არავის ესიამოვნება, როცა დეპუტატი მეეტლე („ქუჩერი“), ან კონდუქტორი უფროსებს მოურიდებლივ სიმართლეს ეუბნება პირში, მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, რომ წარმომადგენლებად ძლიერ იშვიათად ირჩევენ მყვირალა ხალხს. მომეტებულ ნაწილად მუშები გონიერ და საქმის მცოდნე ხალხს ირჩევენ. ამათი საჩივარი ყოველთვის საფუძვლიანი და მშვენივრად დასაბუთებული იყო. წარმომადგენლებს მუშები ტრამვაის დეპოებში ირჩევენ დაფარულ კენჭის ყრით; ამას გარდა, ბერლინის ტრამვაის მეეტლებსა და კონდუქტორებს დაარსებული აქვთ აგრეთვე „ბერლინის ტრამვაის მოსამსახურეთა საზოგადოება“. ამ საზოგადოებას 4,000-ზე მეტი წევრი ჰყავს, საზოგადოებას აქვს კასსა, საიდანაც წევრებს გაჭირვების დროს ფული ეძლევათ სესხად. საზოგადოებამ მოკლე ხანში 60 სადგომი აუშენა ცოლ-შვილიან მუშებს და ამას წინად ერთი ნაჭერი მიწაც იყიდა მრავალ სართულიან სახლების ასაშენებლად; საზოგადოებას აქვს გამართული იურიდიული ბიუროც; კერძო საქმე ექნებათ, თუ დირექციასთან დავა მოუვათ, ეს ბიურო იურიდიულ დახმარებას უწევს საზოგადოების წევრებს.

* * *

ახალი ამბავი

◆ მკითხველებს ეხსომებათ, რომ შარშან 20 დეკემბერს **თავს დაესხნენ ფოთის ხაზინას.** ამ საქმის გამო პოლიციამ დაიჭირა და პასუხის გებაში მისცა 8 კაცი: ხარლამპი კავჟარაძე, დომენტი კვაჭაძე, თავ. ალექსანდრე მაჭუტაძე, ანტონ და გრიგოლ ჩხარტიშვილები, ნიკოლოზ გუჯაბიძე, ისიდორე მახარაძე და კოწია ჭელიძე. კავკასიის მთავართებლის განკარგულებით, ეს საქმე უნდა განიხილოს სამხედრო სასამართლომ ფოთში სექტემბრის პირველ რიცხვებში. ბრალდებულთაგან ხ. კავჟარაძესა და დ. კვაჭაძეს დაიცავს ნაფიცი ვექილი ბალდასაროვი, თავ. მაჭუტაძეს—ნაფ. ვექ. საყვარელიძე, ანტონ ჩხარტიშვილს და ნიკოლოზ გუჯაბიძეს—ნაფ. ვექილი ქიქოძე. ამ საქმის გამო დაბარებულია 100 მოწმამდე.

◆ საყურადღებო ამბებს გადმოგვცემს „ნოვ. ობოზრ.“ თუ დაუჯერებთ ამ გაზეთს, **შავის ზღვის პირად რკინის გზის გაყვანას** აღარა ჰფიქრობენ, იმის ნაცვლად გადაუწყვეტიათ ტფილისიდან კავკავამდე გაიყვანონ გზა კავკასიის უღელ-ტეხილზე. გზას იმ მიმართულებით გაიყვანენ, რომელიც 7 წლის წინად ინჟენერმა რუდნიცკიმ შეიმუშავა. ამ მიმართულებით იგი ტარის ხეობაზე გაივლის.

◆ ტფილისის გუბერნატორის მიწერილობით, **ხელოსანთა მოურავმა რაფაელოვმა ბრძანება გასცა,** უსტაბაშებმა განუმარტონ ხელოსნებს, რომ სახელოსნოები სუფთად და რიგიანად შეინახონ, როგორც ამას სახელოსნო მრეწველობის წესდება თხოულობს. ბ-ნმა რაფაელოვმა აგრეთვე დაბეჭდვინა 1000 ცალი სახელოსნო წესდების იმ მუხლებისა, სადაც სამუშაო დროს შესახებაა ლაპარაკი. ეს განცხადებანი უნდა ჩამოჰკიდონ სახელოსნოში. სახელოსნო წესდების მე-430 და 431 მუხლების ძალით, სახელოსნოებში მუშაობა უნდა იწყებოდეს დილის 6 საათზე და თავდებოდეს საღამოს 6 საათზე. ნახევარი საათი მუშებს საუზმისთვის უნდა მიეცეთ, ხოლო საათ-ნახევარი სადილისა და დასვენებისთვის. მოურავმა განუმარტა მუშებს, რომ ვინც მთავრობის წესებს წინააღმდეგობას გაუწევს, პირველად გარდახდება ჯარიმა 3 მან., მეორეთ 5 მან., მესამეთ—10 მან., ხოლო თუ მეოთხედ იქმნა შენიშნული, მაშინ სრულიად დათხოვნილ იქნებაო.

◆ გუშინ, 10 ივლისს, კოჯრიდან ტფილისში ჩამოვიდა მთხოვნელთა მისაღებად **კავკასიის მთავარ-მართებლის** თანამდებობის აღმასრულებელი ა. ა. ფრეზე.

◆ ყარსში განუზრახავთ **პოლიციის შტატის გადიდება.** ადგილობრივ გუბერნატორს ორი პროექტი წარუდგენია სამინისტროში, მაგრამ ორივე დაუწუნებიათ, რადგან ხარჯი გადამეტებულად უცვნიათ. მეორე პროექტით, გუბერნატორი თხოულობდა ყარსის პოლიციისათვის 35,550 მანეთს. უნდა დაენიშნათ სულ 41 პოლიციელი. ყარსი პატარა ქალაქია, სულ 11 ათასი მცხოვრებია იქ, ჯარიანად 18 ათასი ძლივს იქნება.

◆ ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის 27 მოსწავლე, სასწავლებლის დირექტორის პობედიმოვის მეთაურობით, დილის მატარებლით **გაემგზავრნენ საექსკურსიოდ მოსკოვში** ბაქო-ბალაჯარის გზით.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობას წევრმა კოკჩაევმა წარუდგინა განსახილველად 1904 წლის **ხარჯ-აღრიცხვის** პირველი 6 მუხლი. მალე გამგეობა ხარჯთ-აღრიცხვის დანარჩენ მუხლებსაც განიხილავს.

◆ ქუთაისის გუბერნატორი, როგორც „ნოვ. ობ.“-ს ატყობინებენ, ქუთაისიდან სამსახურის საქმეების გამო **ოზურგეთს** წასულა.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ შეატყობინა გუშინ **საბებიო ინსტიტუტის** უფროსს, რომ ინსტიტუტისათვის საჭირო ხორცი შეგიძლიანთ ვერის დუქნიდან წაიღოთ, მხოლოდ ყოველ თვის ბოლოს უნდა გაგვისწორდეთო.

◆ ავჭალის **მცირე-წლოვან-დამნაშავეთა** ახალშენში ამ ჟამად 42 ყმაწვილია. მიწის დამუშავების გარდა სწავლობენ აგრეთვე დურგლობასა და მეჩექმეობასაც.

◆ გუშინ, 10 ივლისს, დასრულდა **ზანგეზურის მთა-მადნის** მრეწველთა პირველი კრება. გუშინვე კრებამ მადლობის დეპეშა გაუგზავნა მიწათ-მოქმედების მინისტრს კრების მოხდენის ნება დართვისათვის.

◆ გუშინ, 10 ივლისისათვის ტფილისის ოლქის სასამართლოში განსახილველად დანიშნული იყო საქმე ბელგიის უსახელო საზოგადოების განმგებლის კასირის ჰენრიხ ბერღემანისა, რომელსაც 6000 მანეთის გაფლანგვა ჰბრალდებოდა. რადგან სასამართლოში ერთი მოწმე არ გამოცხადდა, საქმის განხილვა შემდეგ დროისათვის გადაიდვა.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობის განკარგულებით, შეუდგნენ ქალაქის სამკურნალოს ხარვუხის განყოფილების სადგომის შეკეთებას, რის გამოც განყოფილება დახურულად იქმნება ერთის თვით. ამ ხნის განმავლობაში ზოგი ავადმყოფი გაიგზავნება უმთავრესს სამკურნალოსა და ავლაბრის განყოფილებაში.

◆ პოლიციის მე-6 ნაწილში, ალექსანდრე პონომარევის ტყავის ქარხნიდან სხვა-და-სხვა დროს მოუპარავთ 700 მან. პონომარევს ეჭვი მიუტანია ყოფილ მუშებზე აბუნაშვილსა და ანტონიკოვზე, და პოლიციისათვის უცნობებია.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებაზედ არჩეული მაზრის წინამძღოლები, მათი თანაშემწენი, დეპუტატები და დეპუტატთა საკრებულოს მდივანი, რომელნიც მთავრობისაგან დამტკიცებულ იქმნენ, 20 ივლისს მიიღებენ ფიცს საკათედრო ტაძარში და შეუდგებიან თანამდებობის ასრულებას.

◆ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლისა, ზოგიერთ მაზრის წინამძღოლებისა, იმათ თანაშემწეთა და დეპუტატთა დაუმტკიცებლობის მიზეზად ასახელებენ იმ გარემოებას, რომ არჩევნებზედ ორ-ორ კანდიდატს თანამდებობაზედ ერთად არ უყარეს კენჭი. დამატებითი არჩევნები, როგორც ამბობენ, მოხდება შემოდგომის დასაწყისში.

◆ 8 ივლისს ალ. ხახანაშვილი სვანეთისაკენ გაემგზავრა. მასთან ერთად გაემგზავრნენ მღ. კარბელაშვილი, ფალიაშვილი და ფარმაციის მაგისრი—ხატვის მოყვარე—ტყეშელაშვილი. პირველი ძველი ხელნაწერებისა და ნაშთების განხილვაში უნდა დაეხმაროს მკვლევარს, მეორემ უნდა ფონოგრაფის საშუალებით გადაიღოს სხვა-და-სხვა გალობა-სიმღერა და მესამემ შესანიშნავ ადგილებისა და ნაშთების ფოტოგრაფიული სურათები გადაიღოს.

◆ ქუთაისში საშინელი სიცხეებია. აღმოსავლეთის ცხელი ქარი კორიანტელს აყენებს ქუჩებზე, გამვლელ-გამომვლელი მტვერისაგან ველარაფერს არჩევს. ვისაც ცოტა შეძლება და თავისუფლება ჰქონდა, ყველა საგარაკოდ გაეშურა; დარჩნენ მხოლოდ ისეთები, რომლებისთვის ბედს არ ურგუნებია შესვენება და წმინდა ჰაერით დატკბობა.

◆ ქალაქის გამგეობის ხაზინადარმა ი. ი. ჭიღაძემ, რომელიც ეს მესამე თვეა დათხოვილი იყო სამსახურიდან თანახმად მისის თხოვნისა, ავადმყოფობის გამო სამსახურს სულ დაანება თავი. ცარიელ ხაზინის ხაზინადრობის მსურველი ბევრი აღმოჩნდა.

◆ ქალაქის გამგეობის წევრად ნამყოფი ი. გ. ჩიმაკაძე, რომელიც ამ ბოლო დროს წყალსადენისა და ელექტრონის ტრამვაის აშენების კანტორის გამგედ იყო, საქმის მწარმოებლად დანიშნეს სახაზინო პალატაში.

◆ ქალაქის გამგეობა, როგორც იქმნა, მოურიგდა მეურმეებს, რომელთაც უნდა ჩამოზიდონ ქუთაისში სადგურის ტყეში მოჭრილი შეშა. შეშის მეიდგელები იხდიან შეშის ატანისათვის არქიელის გორაკზე 5 მანეთს თითო საჟენში; ქალაქის დანარჩენ ადგილებზე კი 4 მან. 50 კ.; აგრეთვე ხიდის ფულიც შეშის მეიდგელებმა უნდა გადაიხადონ.

რუსეთის ქრონიკა

◆ ფინლიანდიის გაზეთმა განმარტა ქ. ვიბორგის მოურავის და საბჭოს წევრების უმაღლესის ბრძანებით გადაყენების მიზეზი. ვიბორგის ლანდ-სეკრეტარი დროფელდი გაგზავნილი იყო რუსეთის შიდა გუბერნიებში რუსული ენის შესასწავლადო, სწერია ამ გაზეთში, და მისი თანამდებობის აღმასრულებლად დროებით გაამწესეს საგანგებო საქმეთა მოხელე კამერ-იუნკერი ფუქსი. ფუქსის დანიშვნა მოხდა 1902 წელს გამოცემულ უმაღლეს დადგენილების ძალით. ამ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ფინლიანდიის სამთავროს მმართველობაში სხვა-და-სხვა თანამდებობაზე შეიძლება გაამწესონ ფინლიანდიელებთან თანასწორად რუსეთის მკვიდრნიც. კამერ-იუნკერმა ფუქსმა ვიბორგის გუბერნატორისაგან ხელმოწერილ რამდენსამე ქაღალდებს თითონაც მოაწერა ხელი და გაჰგზავნა ქ. ვიბორგის სამმართველოში. ეს ქაღალდები შეეხებოდა 1901 წელს გამოცხადებულ სამხედრო წესდებას. ქ. ვიბორგის თვით-მმართველობის მოხელეები ქალაქის მოურავის ოკსენის მეთაურობით დაემორჩილნენ ქ. ჰელსინგფორსის საიდუმლო რევოლიუციონურ კომიტეტისა და საიდუმლო კრების დადგენილებას, რომელიც მოხდა 1902 წ. ქ. ჰელსინგფორსში, და უარჰყვეს მთავრობის განკარგულება სამხედრო ბეგარის შესახებ და თავის მოქმედებას იმით ასაბუთებდნენ, რომ 1773 წლის მმართველობის წესდების მე-10 მუხლის ძალით არ შეეძლოთ საგუბერნიო მმართველობაში მომხსენებლად უცხოელი მოხელე (ფუქსი) დაენიშნათ; ამიტომ ქალაქის გამგეობამ დაუბრუნა ვიბორგის გუბერნატორს მისი და ფუქსის ხელმოწერილი ქაღალდები აუსრულებლად. ამნაირად ქ. ვიბორგის მმართველობამ კანონიერად არ იცნო 1902 წლის ივლისის 31-ს გამოცემული უმაღლესი დადგენილება და არ აასრულა გუბერნატორის მოთხოვნილება.

◆ ნიკოლაევის რკინის გზაზე სად. კოლპინოსთან ფისტონების ქარხანაში 5 ივლისს აფეთქება მოხდა. ამ ქარხნის პატრონი ქალია, გვარად მერიუნი. ქარხანაში 100 მუშა იყო. ჩამოინგრა ქარხნის ერთი კედელი და უშველებელი ალი ამოვარდა. თავზარ დაცემულმა მუშებმა დაუწყეს ფანჯრებს მტვრევა და ფანჯრებიდან ეზოში ვარდებოდნენ. მათთან ერთად გადავარდა ეზოში ქარხნის პატრონი ქალი, რომელსაც ტანზე კაბა ეწვოდა. მუშები მიეშველნენ ამ საცოდავს, აიყვანეს, იქვე ახლოს წყალში ამოავლეს და გადაარჩინეს სიკვდილს. ქალს სხეული ძლიერ აქვს დაშავებული ცეცხლისაგან. მთელი ქარხანა დაიწვა. მერიუნის გარდა დაშავდა ერთი მუშათაგანი.

◆ კიევის გუბერნიის პოლიციის უფროსთ მიუღიათ კიევის გენერალ-გუბერნატორის ბრძანება ებრაელთა ბინადრობის საზღვარგარეშე დამკვიდრებულ ებრაელთა გადასახლების შესახებ. პოლიციელთ სასტიკად ებრძანათ, ძალით გადაასახლონ ხოლმე ის ებრაელნი, რომელნიც თავის ნებით არ წავლენ. ეს ბრძანება შემდეგს შემთხვევას გამოუწვევია. სამხრეთ-დასავლეთ მხარეში ერთი უკანონოდ დასახლებული ებრაელი უნდა განედევნათ. ებრაელი არ დაემორჩილა პოლიციას და ამ უკანასკნელმა მომრიგებელ-მოსამართლეს გადასცა ეს საქმე განსახილველად. მომრიგებელ-მოსამართლის დადგენილებით ებრაელს მიეცა უფლება ძველ ბინაზე დარჩენისა. მთავრობამ განუმარტა პოლიციას, რომ ამიერიდან ადმინისტრატიულის წესით უნდა განაძევოს ხოლმე უკანონოდ დასახლებული ებრაელნი მომრიგებელ-მოსამართლეთა დაუკითხავად, რადგან ებრაელთა კანონიერი თუ უკანონო ბინადრობის შესახებ საკითხი ადმინისტრაციამ უნდა გადასწყვიტოს მისდა მინიჭებულ უფლებით.

◆ მთავრობის დადგენილებით, თერგის ოლქის კოლონია კონსტანტინოვსკაია ისეთ ადგილად იქმნა ცნობილი, სადაც პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ მყოფ პირთ ცხოვრება უნდა აეკრძალოთ.

◆ ბალტიის რკინის გზაზე წმ. სერგის მონასტერში 8 ივნისს ვიღაც ახალ მოსული

ფელეტონი

ბათუმის ამ-კარში

დამოუკიდებელი ოლქი და ქალაქი ბათუმი.—ახალი ყაზარმები ჯარისთვის.—აქაური საზოგადოება.—„ობსტრუქციონისტების“ ოინები.—„კოალიციამ“ გაიმარჯვა.—როგორ ესმით ბათუმელ ხმოსნებს საარჩევნო უფლება და ზოგიერთი ქართველი ხმოსნები.

ამ თვის პირველს ბათუმი ფაქტიურად ჩამოაშორეს ქუთაისის გუბერნიას და სრულიად განსაკუთრებულ ადმინისტრაციას დაუმორჩილეს. გუბერნატორად დაინიშნა გენერალი დრიაგინი, რომელიც დღემდე ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის თანაშემწეთ ითვლებოდა. პირველ ივლისს გადახდილ იქმნა პარაკლისი აქაურ მოხელეთა თანადასწრებით, რომელნიც ეკკლესიიდან გუბერნატორთან წავიდნენ მისალოცად.

ახალი ადმინისტრატიული რაიონი შეიცავს ბათუმის ოლქს ქობულეთამდე და ართვინისას. მართლაც თვით ბათუმი იმდენად გაიზარდა, ვაჭრობა იმდენად განვითარდა, იმდენმა მუშა ხალხმა მოიყარა თავი, რომ ადვილად გასაგებია, თუ რათა სცნო მთავრობამ საჭიროდ ეს ადმინისტრატიული რეფორმა. თუმცა ბათუმი საგუბერნიო ქალაქი არ იყო, მაგრამ ზოგიერთ მხრივ ბევრით უფრო საყურადღებოა, ვიდრე სხვა ქალაქები.

ამას წინად ადგილობრივ ადმინისტრაციის მისაშველებლად ქუთაისიდან გადმოიყვანეს ერთი „სოტნა“ ყაზახებისა, რომელთაც ქალაქმა უნდა აძლიოს ბინა. რადგან შენობის დაქირავება ძნელიც შეიქნა და ძვირიც, ამიტომ ქალაქის საბჭომ დაადგინა საკუთარ ყაზარმის აშენება. ეს შენობა ქალაქს 30.000 მანეთად დაუჯდება, და რადგან სხვა სახსარი არა აქვს, ამიტომ სათადარიგო თანხიდან უნდა აიღოს. ამ თანხას ქალაქი ვერ შეეხება, თუ გუბერნატორის ნებართვა არ იქნება, მაგრამ გუბერნატორმა მაშინვე დართო ნება. საზოგადოდ, უნდა ვთქვა, რომ პოლიციის შენახვა ქალაქს ძვირად უჯდება; თითქმის მთელი მერვედი წლიურ ბიუჯეტისა იმაზე მიდის. უკანასკნელ წლამდე ცოტა რამ დახმარება ჰქონდა ქალაქს, დღეიდან კი სულ თვითონ უნდა გაუძლვეს ხარჯს.

აქაური ამბები, რა მხრითაც უნდა შეეხო ცხოვრებას, ყველა დამაღონებელია. დიდი ოპტიმისტი უნდა იყო, რომ აქაურ აგრედ წოდებულ „ინტელიგენტთა“ წრეში ადამიანურ ცხოვრების ნიშან-წყალი აღმოაჩინო. ყველა თავისთვის მიმჯდარა კუთხეში და სცდილობს, თავისი პატარა საქმე მოაწყოს. აქ თითქო არ არსებობს არავითარი განსხვავება ავსა და კარგსა, პატიოსანსა და უპატიოსნოს შორის. აქაური საზოგადოება, საუბედუროდ, მოკლებულია ზნეობრივ ავტორიტეტს, და სწორედ ამიტომაა, რომ ფლიდი, ზნეობით დაცემული ვაჟბატონი გაბედულად გამოგიწვდის ხელს და დარწმუნებულია, რომ ზურგს არ შეაქცევენ. აი, ეს არის სუსტი მხარე ჩვენის „საზოგადოებისა“ და სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ გარეშეებთან ბრძოლის დროს არ შეუძლიან რაიმე ზნეობრივი გავლენა იქონიოს საკუთარ წევრებზე, არ შეუძლიან შეჰქმნას ბუნებრივი დისციპლინა, რომელიც აუცილებელია გამარჯვებისთვის.

მკითხველს მოეხსენება, რომ 16 ივნისს, საბჭოს კრება არ შესდგა, რადგან ხმოსანთა კანონიერი რიცხვი არ გამოცხადდა. შემდეგი უკანასკნელი კრება დანიშნული იყო 30 ივნისისათვის. საბჭოს უნდა მოესმინა ცამდე სხვა-და-სხვა საქმე. უნდა აერჩია აგრეთვე ქალაქის მოურავის მოადგილე,—კენჭი უნდა ეყარათ გამგეობის ორსავე წევრს: ივანოვსა და ჟურულს. საბჭომ ჩვეულებრივის სიზანტით მოისმინა მიმდინარე საქმეები. ბოლოს დადგა ჯერი არჩევნებისა, მაგრამ ამ დროს ხმოსნების ერთმა ნაწილმა, რომელიც უმცირესობას შეადგენდა, მიატოვა საბჭოს დარბაზი და გაუდგა გზას. ზოგი კიდევ კარიდორში იდგა და კარებიდან იყურებოდა, ვნახოთ რა გამოვაო. ამაოდ აწკარუნებდა ზარს თავმჯდომარე. „ობსტრუქციონისტების“ აზრი ყველასთვის ცხადი შეიქნა: იმათ არ უნდოდათ, რომ კანონიერი რიცხვი დარჩენილიყო დარბაზში. მართლაც შიგნით მარტო ქართველი ხმოსნები დარჩენილიყვნენ და რუსთაგან მხოლოდ ერთი ინჟენერი საზონოვი, რომელსაც ამაოდ ეწეოდნენ გარეთ პალმის „ხალოპები“· გავიდნენ რუსები, ბერძნები, სომხები და... ქართველი მაჰმადიანები. მეტად გული გვატკინა ამ უკანასკნელმა გარემოებამ, მაგრამ თუ კაცს თავის შეგნება არა აქვს, ყოველივე ლაპარაკი ამაოა. ერთის სიტყვით, არჩევანი არ შესდგა და კრება დაიხურა.

დღემდის ბათუმის ქალაქის საქმეებს ქუთაისის საქალაქო საქმეთა საკრებულო განაგებდა. ამ თვის პირველიდან-კი, ახალი დე-

მორჩილი მოვიდა, ყოველ დღე ესწრებოდა ღვთის მსახურებას და 10 ივნისს მღვდელს აღსარება უთხრა. აღსარების შემდეგ მღვდელმა ზიარება არ მისცა. იმავე საღამოს ერთმა პოლიციელმა დაინახა მონასტრის სიახლოვეს ვიღაც მიწაზე მწოლარე კაცი, რომელსაც ფეხები ანთებულ ცეცხლში ჩაედვა და ეწვოდა. მონასტერში რომ გადაიტანეს, აღმოჩნდა, რომ იგი ახალ-მოსული მორჩილი იყო, ქალი და არა კაცი. საბრალო ქალი რამდენიმე დღის შემდეგ გარდაიცვალა. გამოიკვლიეს მისი ვინაობა და შეიტყეს, რომ იგი პეტერბურგს ახლოს მდებარე სოფელ ბობილსკოიეს გლეხის შვილი იყო, ერთობ წყნარი, ყველას მოყვარული, მშვიდობიანი და გამრჯელი ქალი. მისი მშობლები ღარიბად ცხოვრობდნენ. დედა მისი ხანდახან უსაყვედურებდა ხოლმე, ნეტა გათხოვდე და მომშორდე თავიდანაო. რადა, დედილო, უპასუხებდა საბრალო ქალი, რომ გავთხოვდე, შვილები მეყოლება და თქვენსავით დავუწყებ ღმერთს მდურვასო. თავისუფალ დროზე ეს ყმაწვილი ქალი გულმოდგინედ კითხულობდა სახარებას, ლოცვანს და წმიდათა ცხოვრებას. კაცმა ყველაფერი უბედურება მორჩილებით უნდა აიტანოსო; მან დაამტკიცა ეს თავის სიკვდილით. საშინლად იტანჯებოდა საცოდავი და ხმა-ამოუღებლათ გარდაიცვალა.

პრესსა

გაზ. „ნოვ. ვრ.“ ეხება საქარხნო სტაროსტების შესახებ ახალ კანონის პრაქტიკულ მნიშვნელობას და, სხვათა შორის, ამბობს:

> ამ ახალ კანონის გამოცხადებამდისაც ზოგიერთ ქარხნების გამგეობათ შემოიღეს მუშებთან დამოკიდებულების გასაადვილებლად განსაკუთრებული დეპუტატები, რომელთაც ზოგჯერ თვითონ მუშები ირჩევდნენ, ზოგჯერ კი ქარხნის გამგეობა ჰნიშნავდა ხოლმე. საქარხნო ინსპექციის და ქარხნების პატრონების მოწმობით, ეს ზომა ფრიად სასარგებლო გამოდგა, მხოლოდ უკანონო იყო და ყოველთვის შეეძლო მთავრობას როგორც ქარხნების მეპატრონეები, აგრეთვე დეპუტატები პასუხის გებაში მიეცა. ამ გარემოებამ დააბრკოლა საქმის განვითარება. ახალი კანონი პირველი ცდაა მეპატრონეთა და მუშათა შორის დამოკიდებულების განწეს-რიგებისათვის. უნდა აღვნიშნოთ მხოლოდ, რომ კანონი ფრთხილად ეკიდება ამ საქმეს. მაგალითად, კრების უფლება მხოლოდ ქარხნების ცალკე ამქრებთ ეძლევათ, საერთო საქმეთა განხილვა-კი, რომელიც ყველა მუშებს შეეხება, მხოლოდ სტაროსტებს შეუძლიანთ. სტაროსტების დანიშვნაზე თანხმობა უნდა გამოაცხადოს ქარხნის პატრონმა, და უნდა დართოს ნება საქარხნო საქმეთა შესახებ საკრებულომ. ახალ კანონის შემოღებას პირველ ხანებში არ ექმნება დიდი პრაქტიკული შედეგი, იგი ვერ გადასწყვეტს ჩვენი მრეწველობის სფერაში საჭირ-ბოროტო საკითხებს, მაგრამ ჩვენ მაინც უნდა მივესალმოთ ამ კანონის შემოღებას, რადგან იგი ხელს შეუწყობს მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებას, შეამცირებს მსხვერპლთა რიცხვს, რომელთა მიზეზი იყო მეპატრონეთა და მუშათა შორის გამწვავებული დამოკიდებულება.

⁂

ბ-ნი ლავროვი, სიტყვიერების მასწავლებელი რუსეთის ერთით საშუალო სასწავლებელში, მოგვითხრობს გაზ. „ს.-პეტერ. ვედ.“-ში რანაირი დამოკიდებულება ჰქონდა მას თავის შეგირდებთან. საყურადღებოა შემდეგი გარემოება. შეგირდებმა სთხოვეს იმას, ძველ მწერლობას თავი დაანებოთო, ყველაზე უფრო დღევანდელი ცხოვრება და ახალი იდეები გვაინტერესებსო. ერთი შეგირდი ამდგარა და უთქვამს, ძველ მწერლებს მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა აქვთ და დღეს ცხოვრებას ვერ გვასწავლიანო. მასწავლებელი პირველ ხანებში სცდილობდა შეეცვალა თავისი შეგირდების აზრი ამ საკითხის შესახებ, შემდეგ კი დააფიქრა ამ ღრმა-მნიშვნელოვანმა გარემოებამ. იგი მიხვდა, რომ დღევანდელი ცხოვრება ყველაზე უფრო საგულისხმიერო უნდა იყოს მოზარდ თაობისათვის, სწორედ ის მხარე ცხოვრებისა, რომლისკენ ყველაზე ნაკლები ყურადღებაა მიქცეული სკოლაში.

ტფილისის ქალაქის საბჭო

9 ივლისი. ეს კრება საბჭოსი უკანასკნელი იყო ამ ზაფხულს. 19 საქმიდან საბჭომ განიხილა 9, ხოლო დანარჩენი გადადო შემოდგომისათვის, რადგან ზოგი შესავსებია ცნობებით, ზოგის შესახებ მოხსენება უნდა დაიბეჭდოს და სხვ. კრების დაწყებისთანავე თავმჯდომარემ აცნობა, რომ საბჭოს მიერ გადადებული 421 მანეთი საჭირო აღარ იქნება სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლეთა ექსკურსიისათვის, რადგან სამინისტროსაგან ნება არ მოვიდა, ჩვენმა მოსწავლეებმა შეღავათიანის ტარიფით იმოგზაურონო. საბჭომ დაამტკიცა გამგეობის დადგენილება, რომლითაც ხაზინადარს ქვრივს ეპატია დარჩენილი საიჯარო ფული 71 მან. ტფილისის მოქალაქეს მირიტანის თხოვნა უყურადღებოდ დასტოვა საბჭომ. მირიტანი სწერდა, უკანონოდ მაქვს შემოწერილი დასაფასებელი გადასახადიო. ტერ-არუთინოვს 15 წელიწადი უმსახურნია თვით მართველობაში. რადგან ეხლა სამსახური აღარ შეუძლიან და არც სახსარი აქვს, საბჭოსათვის შემწეობა უთხოვნია. საბჭომ დაადგინა 100 მან. მისცეს ერთ ჯამაგ. სოფრონ სხირტლაძეს კავკასიის გამოფენაზე რესტორანი გაუმართავს და უზარალნია, ამის გამო გამგეობისათვის უთხოვნია, აპატიოს დარჩენილი 504 მან. სატრაქტირო გადასახადი. საბჭომ დაამტკიცა გამგეობის დადგენილება, რომლითაც უარი ეთქვა სხირტლაძეს. ხმოსანი ბაბოვი ამას წინად შეეკითხა გამგეობას, რა მიზეზია, რომ წყლის მილის სამუშაო კერძო ხელოსნებმა გააკეთეს და არა წყლის მილის ხელოსნებმაო. ენფიანჯიანცმა აცნობა საბჭოს, რომ ასეთი საქმე კერძო ხელოსნებმა გააკეთეს სულ 600—700 მანეთისაო. მიზეზი ისა ყოფილა, რომ სახელოსნოს საკმაო იარაღი არა აქვს, 2 ხელოსნის მეტი არა მუშაობს და სახელოსნო ძვირად აკეთებს საქმეებს. ენფიანჯიანცის აზრით, უნდა კერძო ხელოსნებს მიენდოს ზოგჯერ საქმე და ნახრის დაკლებაც იქმნას სახელოსნოში. ამ საგანმა მცირე ოდენი კამათი გამოიწვია. ბოლოს საბჭომ დაადგინა, აირჩიონ განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა გადაათვალიეროს ქალაქის სახელოსნოს ტარიფი. კომისიის წევრებად აარჩიეს: ი. მ. ადიხანოვი, ა. ს. ბაბოვი, გრიქუროვი, მახ-ბუდაგოვი და კორაკოზოვი. კამათი გამოიწვია აგრეთვე ენფიანჯიანცის ცნობებმა ქუჩების ჯეროვნად მორწყვის შესახებ. ენფიანჯიანცმა განაცხადა, ქალაქის ქუჩების მორწყვა დამოკიდებულია წყლის რაოდენობასა და იმაზე, თუ რამდენი ფული გვაქვს ამ საქმისთვის გადადებული. ნამდვილია, რომ ქუჩები კარგად ვერ ირწყვება და ამიტომ უნდა სხვანაირად მოვაწყოთ საქმე. 1889 წლიდან 20,000 მანეთზე მეტი იყო ხოლმე გადადებული წელიწადში, ეხლა მარტო 11,000 მან. გვაქვსო.

ქალაქის მოურავმა სთქვა, რომ ამ ნაკლულევანებას ყველანი ვგრძნობთ, მაგრამ უნდა მოვიცადოთ, ვიდრე წყლის მეორე მილს გამოვიყვანთ და წყალი უხვად გვექნებაო. ხმ. სულხანოვმა განაცხადა, ვსთხოვ გამგეობას, მეტი ყურადღება მიაქციოს ქალაქის იმ ქუჩების მორწყვას, სადაც დიდი მოძრაობაა და მტვერიც დიდი იცის. მიხაილოვის პროსპექტიდან რკინის გზის სადგურამდე მიმავალი ქუჩა სრულებით არ ირწყვებაო.

კარგა ხანს კამათის შემდეგ საბჭო ენფიანჯიანცის განცხადებამ დააკმაყოფილა. ენფიანჯიანცმა სთქვა, მზადდება პროექტი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოეწყოს ქუჩების მორწყვის საქმეო.

დანარჩენი დრო საბჭომ მოანდომა ხორცის დუქნების შესახებ კამათს. ამას წინად ხმოსნებმა ა. ს. ბაბოვმა და გრიქუროვმა მოითხოვეს ცნობები ქალაქის დუქნების შესახებ. თავ. ჩერქეზიშვილმა საბჭოს ცნობები წარუდგინა იმ დღის, ე. ი. 25 ივნისის შესახებ. ბევრი ილაპარაკა საბჭომ დუქნების ცუდის შესახებ. დასასრულ საბჭომ დაადგინა, რომ კომისიამ აუცილებლად თვეში ორჯერ, 1 და 15 რიცხვებში, ანგარიში წარუდგინოს ხოლმე საბჭოს დუქნების მდგომარეობის შესახებ.

მალიარიასთან ბრძოლა

მალიარიას ძალიან დიდი ვნება მოაქვს კაცობრიობისათვის. ყოველ წელიწადს აუარებელი ხალხი იხოცება ამ სენისაგან, უფრო თბილ და ცხელ ქვეყნებში. ჩვენში, მაგალითად, კახეთში მთელი სოფლები ამოწყვეტილა ჭაობის ციებ-ცხელებისაგან, როგორც იქ მალიარიას ეძახიან. კახეთში, ალაზნის პირად, უწინ ბევრი სოფელი ყოფილა, მაგრამ მალიარიას გაუქრია და გადაუშენებია.

პირველად ამ სენთან ბრძოლას, რასაკვირველია, ევროპაში შეუდგნენ. ყველაზე ძლიერ მალიარია იტალიაში მძვინვარებდა და მძვინვარებს დღესაც. მეცნიერებამ დიდ ხანს ვერც თავი გაუგო ამ სენს და ვერც ბოლო. ათასნაირი თეორია იყო და ათას მიზეზს ასახელებდნენ მალიარიის გაჩენისას. ამ ოთხისა თუ ხუთის წლის წინად პირველად გავრცელდა ის აზრი, რომ მალიარიის გამჩენი და განმავრცელებელი ერთგვარი კოღოა. გამოკვლევას იტალიაში შეუდგნენ. ეხლა რუსეთშიაც გულმოდგინედ მიჰყვეს ხელი გამოკვლევასა და მალიარიასთან ბრძოლას. რუსეთში არსებობს პიროგოვის სახელობის მკურნალთა საზოგადოება. აი, ამ საზოგადოებასთან „სამალიარიო კომისიაა“. წელს ამ კომისიამ ორი ექსპედიცია გაჰგზავნა, ერთი თურქესტანში, მეორე კავკასიაში. ამას გარდა კომისია ყველასა სთხოვს დახმარებასა და შველას მალიარიის გამოკვლევის საქმეში.

„ნოვ. ვრ.“-ში ამ კომისიის წევრის მოსკოვის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტის გ. კოჟევნიკოვის წერილია დაბეჭდილი. ავტორის აზრით, დღეს უკვე დამტკიცებულია, რომ ჭაობის ციებ ცხელების გამავრცელებელი კოღო Anopheles-ია. ამ კოღოსა და კაცის სისხლში ერთნაირად იბუდებენ და სცხოვრობენ პარაზიტები, რომელნიც მალიარიას ჰქმნიან. როგორც კოღოს შეუძლიან გადასდოს მალიარია კაცს, ისე კაცს შეუძლიან გადასდოს კოღოს. მალიარიის გამოსაკვლევად დიდად საჭიროა იმის გაგება, სად და როგორ ვრცელდება ზემოხსენებული კოღო „ანოფელესი“. ბ-ნი კოჟევნიკოვი აი ამ საქმეში სთხოვს ყველას დახმარებას. საჭიროა გაიგზავნოს მასალა რუსეთის ყველა კუთხიდან, განსაკუთრებით. თურქესტანსა და კავკასიიდან, სადაც შესაძლებელია კოღოების ახალი ჯიში აღმოჩნდეს.

„როგორ უნდა დაიჭიროს კაცმა“ ანოფელესი? სწერს ბ-ნი კოჟევნიკოვი. ამისთვის საჭიროა ყველას ახსოვდეს, რომ ეს ის კოღოები არ არიან, რომელნიც მრავლად დაფრინავენ ჰაერში და ასე გვაწუხებენ სეირნობის დროს. მალიარიის კოღოს თამამად შეგვიძლიან „შინაური კოღო“ ვუწოდოთ. საცხოვრებელ ოთახებსა, დერეფნებსა, ფეხის-ადგილებსა, საჯინიბოებსა, ბოსლებში— აი სად უნდა ეძებოთ „ანოფელესი“. მინდორსა, ტყესა და ბაღში იმას ვერ იპოვნით. უნდა დაიჭიროთ როცა მიფრინავენ მაშინ კი არა, როცა კედელსა ან იატაკზე სხედან. უფრო მეტად კედლების კუთხეებს ეტანებიან. დღისით „ანოფელესი“ თითქმის უმოძრაოდ ზის და მაშინ ადვილია დააფაროთ რამ და დაიჭიროთ. გარეგნობით „ანოფელესი“ ცოტა უფრო დიდია ჩვეულებრივ კოღოზე, ფეხები მეტად გრძელი აქვს; ფრთებზე აქა-იქ შავი წინწკლები დაჰკრავს“.

აი, ეს კოღოები უნდა დაიჭიროთ და გაჰგზავნოთ მოსკოვის უნივერსიტეტში, ზოოლოგიურ მუზეიში, ხსენებულ პრივატ-დოცენტის სახელზე. შეიძლება მშრალად კოღო შეინახოს და გაიგზავნოს, შეიძლება სპირტშიაც ჩაიდოს. მშრალად თუ შეინახავთ, უნდა პატარა მიწის ლულა და ბამბა შეიძინოთ. უნდა კოღო ამ ლულის ძირში შეაგდოთ და ზევიდან ბამბა დააფაროთ, მერე მეორე შეაგდოთ და კიდევ ბამბა დააფაროთ, ასე ხუთი კოღო შეგიძლიანთ ერთ ლულაში მოათავსოთ. ყველა ლულას უნდა ბილეთი მიეკრას და დაეწეროს ზედ სახელი სოფლისა, მაზრისა, გუბერნიისა, ქალაქისა, თვე, რიცხვი, რომელ სადგომში აღმოჩნდა კოღო და გვარი დამჭერისა. სპირტითაც იმავე ლულაში უნდა შეინახოთ და ზევიდან მაგრა საცობი გაუკეთოთ. შეიძლება სხვა ჭურჭელიც, მხოლოდ რაც წვრილი იქნება, ისა სჯობია, რომ კოღოები გაგზავნის დროს კედლებს ან ერთმანეთს არ ეხლებოდნენ.

ბ-ნ კოჟევნიკოვს დიდი იმედი აქვს, რომ ბევრი დაეხმარება კომისიას და გაუგზავნის ამ გვარად დაჭერილ კოღოებს.

თეატრი

სურამი. ორ ივლისს ადგილობრივ სამკითხველოს სასარგებლოდ გაიმართა წარმოდგენა. წარმოადგინეს რუსულად „Предложеніе“ და ქართულად „ოინბაზი“. ორივე პიესამ სუსტად ჩაიარა. წარმოდგენის შემდეგ გაიმართა დივერტისმენტი.

სოფ. მეტეხი. 21 ივლისს ადგილობრივ სკოლის სასარგებლოდ სცენის-მოყვარენი წარმოადგენენ „გაყრა“-ს.

ს. ავჭალა. 22 ივნისს ავჭალაში სცენის-მოყვარეთ წარმოადგინეს „ადვოკატი მელაძე“ და „არც აქეთ, არც იქით“. ორივე პიესამ უხეიროდ ჩაიარა. წარმოდგენა რომ გათავდა, ხორომ მეტად უხეიროდ შეასრულა ორიოდე ქართული სიმღერა.

წერილი ზემო ქართლიდან

ყაჩაღთა ბრბოს შესახებ

„ცნ. ფურ.“ მე-2198 ნომერში ვკითხულობთ: „გორის მაზრაში სურამის მახლობლად მთაში ყაჩაღთა ბრბო, გამვლელ-გამომვლელს მოსვენებას არ აძლევენ, შეეპარნენ სურამში ებრაელ თანურიშვილს, გაძარცვეს შორაპანში მიმავალი მგზავრი გიორგი ჩინჩალაძე. აქამდე ეს ყაჩაღები ღარიბს მგზავრს არას უშავებდნენ და ახლა კი გაუძარცვავს არავის უშვებენო და სხვა“... ეს მოწერილი ამბავი გაზვიადებულია და მომეტებული ნაწილი სიცრუეა. კარგს იზამენ კორესპონდენტები, რომ უფრო ხშირად ამბავს სიმართლით აწვდიდნენ რედაქციას. ვინ ნახა ყაჩაღთა ბრბო და ან ვინ გაძარცვა იმათგანმა? რამდენი კაცის კვლა და ქურდობაც ზაფხულობით მოხდეს, იმდენი რომ ყაჩაღთა ბრბოს მიაწეროთ და ტყეში დავუწყოთ ძებნა, ჩვენ ჩვენი დაუდევრობით და ხალხიც, რომელიც მთის ახლოს სდგას, იზარალებს ყარაულებისა და „სტრაჟნიკების“ ხარჯით. სიმართლის აღსადგენად არ იქმნება ურიგო, რომ გაცნობოთ მკითხველთ ყოველივე მართალი ყაჩაღთა შესახებ. ბევრჯელ მოხსენებია მკითხველთათვის, რომ ზემო ქართლში ჩარჩები გაბატონებულან და მკვიდრნიც იმათგან გადატაკებულან-მეთქი. ეს ხმები სწორედ ამ ჩარჩთა წყალობითაა გავრცელებული; ყოველ ჩარჩს აუარებელი მტერი ჰყავს შეძენილი უჯიათი მოქმედებით და ყველა მტერი სცდილობს სამაგიერო გადაუხადოს მევახშეს. ყოველი ზემო ქართველი, გარდა ფულიან ჩარჩისა, დარწმუნებით იტყვის, რომ ზემო ქართლში ავაზაკთა ბრბო არ არის და ყველა ხმა

ბულების წესით, დაარსდა ოლქის საქალაქო საკრებულო, რომელსაც თავმჯდომარეობს გუბერნატორი და წევრებად არიან, სხვათა შორის, ქალაქის მოურავი და საბჭოს მიერ ამორჩეული ერთი ხმოსანი. აი, ამ ხმოსნის ასარჩევად, გუბერნატორის ნებართვით, ქალაქის მოურავმა დანიშნა საგანგებო კრება ორშაბათს, 7 ივლისისათვის და სიაში ხელმეორედ მოაქცია მოურავის მოადგილის არჩევანი. ყველასათვის ცხადი იყო, რომ თუ საბჭო ახლაც თვითონ არ აირჩევდა მოურავის მოადგილეს, მაშინ, კანონის ძალით, გუბერნატორი თავის სურვილისამებრ დანიშნავდა. სახელოვანმა „კოალიციამ“, რომელიც ეტყობა, ძვირად უნდა ფასებდეს თავისუფალ არჩევანის უფლებას, კვლავ მიჰმართა ძველ ხრიკს და იმდენს ეცადა, რომ არც ეს კრება შესდგა. წინა დღით აქაურმა ჭუჭყიანმა ფარატინმა, რომელსაც ზოგიერთები გაზეთს უწოდებენ, გამოაცხადა, ივანოვის არჩევა იმიტომ არ უნდათ, რომ იგი მთავრობისაგან არის დანიშნულიო. რომ ივანოვი რამდენჯერმე გააშავეს, რომ იგი შემდეგ დანიშნეს—ეს ჭეშმარიტებაა. მაგრამ ისიც მართალია, რომ არჩევნის უფლება კანონმდებელმა იმიტომ მიანიჭა ამომრჩეველთ, რომ იმათ თავიანთ შეხედულებისამებრ თავისუფლად შეეძლოთ ღირსეულ კაცს ჩააბარონ თავისი ქონებრივი და ზნეობრივი წარმომადგენლობა. რაღად უკვირს ბ-ნ პალმს, რომ ხმოსნებს სურდათ ესარგებლნათ თავიანთ კანონიერ უფლებით? მაგრამ, სამწუხაროდ, ნახევარზე მეტი ჩვენის ხმოსნებისა განვითარების ისეთ საფეხურზე დგანან, რომ ან სრულებით არ ესმით ამ უფლების ღირსება და ან მზად არიან „ოსპის შეჭამადზე“ გასცვალონ იგი. სწორედ ასე მოხდა 7 ივლისის კრებაზე. ისეთი სულ-მოკლეობა გამოიჩინეს, რომ უარ-ჰყვეს თავიანთი უფლება და ერთხელ კიდევ დაამტკიცეს, რომ იმათ, როგორც მცირე-წლოვანებს, „ოპეკუნი“ სჭირიათ.

კრებაზე გამოცხადდნენ ათ ქართველ ხმოსანს გარდა, მხოლოდ ბ-ნნი საზონოვი და რადვილოვიჩი. არ ინებეს მობრძანება ორმა „ქრისტიანმა“ ქართველმა და ორმა „მაჰმადიანმა“ ქართველმა. აი, ასე მშვენივრად ესმით ერთობა აქაურ ქართველებს! რა ძალა იყო ის ძალა, რომელმაც ორი მაჰმადიანი ქართველი ტახტზე მილურსმა 7 ივლისს საღამოს და ორი ქრისტიანი ქართველი სწორედ იმ ღამეს განდევნა ბათუმიდან, ამასაც მალე მოგახსენებთ.

გაზვიადებულია. რაც შეეხება ვაჭრის ებრაელის თავდასხმას, ამის მიზეზს უთუოდ გამოძიება აღმოაჩენს და გამოარკვევს. ამ დაჭრის შემდეგ ერთხმად მთელი ზემო ქართლის ყაჩაღების ხმა და ვინც-კი მინდვრად ან ტყის პირად ჰნახავდა უცნობს მგზავრს, იძახდა, უსახლო ვინმე ამა და ამ ადგილსაო და თანაც იმას დასძენდა, რომ ამა და ამ კაცს ფულის გაგზავნა შეუთვალესო. რაც შეეხება გიორგი ხინხალაძის გაძარცვას, არავის სჯერა და თვით პოლიციაც ეჭვის თვალით უცქერის ამ გაძარცვას. გიორგი ხინხალაძე მგზავრი არ იყო; ეს გახლავთ ს. ალში მცხოვრებლის დვალიშვილის, ჯანთევის, მოჯამაგირე, რომელიც იმ დღეს ტყეში იყო სამუშაოდ და საღამოზე რომ მოვიდა შინ, სთქვა: ყაჩაღმა გამძარცვა, 15 მანეთი წამართვა და თან ერთ ადგილს მატარათი ეს ჩოხა გამოხვრიტაო. (!!). ეს თქმა და მისი ადის აკანკალება ერთი იყო. დაჰკრეს ჩარჩებმა გლოვის ბუკ-ნაღარა და მთელს ქვეყანას შესტირეს, ვაიშველით, ყაჩაღთა ბრბო ამოჟლეტს გვიპირებსო. მთავრობამაც შეუდგა ზომების მიღებას. ჯერ ბოქაული და მამასახლისი რამდენიმე ჩაფრით გარს შემოერტყნენ ს. ალს და მთას, მერე მოვიდა მაზრის უფროსის თანაშემწე ოცის „სტრაჟნიკით"; ისიც ძალიან ბევრს ეცადა, რომ გაეგო რამე, მაგრამ ნიშანიც ვერა ჰნახა და ყველა ხმებს ეჭვის თვალით შეჰხედა. ზოგმა აღიარა, რომ ყაჩაღთა ბრბო ტყუილია და დამწვარ-დაჩაგრული გლეხნი კი ემუქრებიან მევახშეებსო. ვიტყვი და ყველა ზემო-ქართლელიც დამეთანხმება, რომ ებრაელის თავ-დასხმის მეტი მთელს ზემო ქართლში ავ-კაცობა არა მომხდარა-რა, არც გზაში გაუძარცვიათ ვინმე და არც არავის დაჰხვედრიან.

სერგი ხუცესი.

დაბა-სოფლები

სამტრედია (იმერეთი). მკითხველებმა უკვე იციან, რომ აქაურმა ხელოსნებმა და ვაჭრებმა განაჩენი დაადგინეს კვირა-უქმეობით დუქნების დაკეტვის შესახებ. ამ დადგენილების ძალით, დუქნები უნდა დაკეტილიყო დილის 9-დან შუადღის 12 საათამდის და ნაშუადღევის 3-დან ორშაბათ დილამდის. საღამოს ყველას შეეძლო დუქნებში შესვლა და წოლა და არა ვაჭრობა. ვინც განაჩენს დაარღვევდა, ის ჯარიმას გადაიხდიდა 5 მან. დაბის სასარგებლოდ. მაგრამ ამ ფრიად სასიამოვნო დადგენილებამ აი, რა ნაყოფი გამოიღო: პირველ კვირას საღამოს 8 საათამდე დაკეტეს, მეორე კვირას ნაშუადღევის 3 საათზე დაკეტვის მაგიერ 5 საათზე დაკეტეს; ხოლო მესამე კვირას ღია იყო დილის 9-დან 12 საათამდე. 24 ივნისს ბოქაულის თანადასწრებით მოხდა კრება, რომელსაც დაესწრო 10—15 ვაჭარი და ორიოდე ქარგალ-ნოქარი. ხსენებულ კრებაზე გაისმა ვაჭრების ტირილი და გოდება: დავიღუპებით და ცოლ-შვილი მშიერი ამოგვიწყდება, თუ კვირაობით ჩვეულებრივად არ ვივაჭრეთ. ბევრის თათბირის შემდეგ, გამოაცხადეს: ქარგალ-ნოქრებსა და შაგირდებს კვირაობით ნახევარ დღის თავისუფლების მაგიერ მიეცეთ შუადღემდის 3 საათის თავისუფლება წირვაზე წასასვლელად. ნოქრებმა პასუხი გასცეს. ნოქრებმა მოითხოვეს ხსენებულ განაჩენის ძალაში შეყვანა და, სხვათა შორის, სთქვეს: სამტრედიაში დაარსდა საკვირაო სკოლა, რომელშიაც დიდის სიამოვნებით ჩაეწერნენ აქაური ქარგალ-ნოქრები და შეგირდები იმ იმედით, რომ კვირაობით ნახევარ დღეს მაინც გაგვანთავისუფლებენო. ნოქრების ასეთი სიტყვები არ მოეწონა ერთს, რომელმაც შემდეგის სიტყვებით მიჰმართა: თქვენ „ბუნტოვშიკები" და „სოციალისტები" ხართ! ნუ-თუ კვირაობით 3 საათის თავისუფლება არ გეყოფათ? ამ დროში წირვის მოსმენას მოასწრებთ და მეტი რა გნებავთ? საკვირაო სკოლის იმედი ნუ გაქვთ და არც საჭიროა! ნოქრებმა კრებას თავი მიანებეს და წავიდნენ. ასე თუ ისე, 10—15 ვაჭრის სიტყვამ გასჭრა და აქაურ ხელოსნებისაგან და ვაჭრების მიერ დადგენილი განაჩენი ჯერ-ჯერობით წიაღსა შინა აბრაამისასა განისვენებს.

სანდრო

—

ს. ოფიშქვითი (ქვემო იმერეთი). „ცნობის ფურცელ"-ში ამას წინად წერილი იყო ჩვენის სოფლის შესახებ. ორი თვალსაჩინო შეცდომაა ამ წერილში. ავტორი სწერს: „ორთა შუა რიცხვით თითო კომლი გაჰყიდის წელიწადში 300—400 მანეთის ხილს, კომბოსტოს, კარტოფილს და სხვა ბოსტნეულობასაო". თვითონ ამავე სოფლის მცხოვრები გახლავართ და არასოდეს არ მინახავს და არც მახსოვს, რომ ერთს მოსახლეს, ანუ კომლს ამდენი ფულის ხილი და ბოსტნეულება გაეყიდოს. დიდი, დიდი ექვსი თუ შვიდი თუმნისა გაჰყიდოს გლეხმა წელიწადში, ესეც ასში ერთმა. წელს მაინც სულ გაიხრა კომბოსტო, რადგან ბაზარი არა აქვს. ფუთი შაურადაც არ იყიდება და ტყუილად ლპება. შემდეგ ავტორი ამბობს: „500 კომლს მარტო ერთი ერთ-კლასიანი სკოლა აქვს, რომელიც ვერ აკმაყოფილებს მცხოვრებთა მოთხოვნილებას; საჭიროა ორ-კლასიანად გადაკეთდეს და ერთი სამრევლო სკოლაც დაარსდესო". საკვირველია, რომ ავტორს ორ-კლასიანი სასწავლებელი ერთ-კლასიანად გადაუკეთებია. თითქმის ორი წელიწადია, ორ კლასიანი სასწავლებელი გვაქვს. ორი მასწავლებელია, ერთს ხაზინა აძლევს ჯამაგირს და მეორეს კი—სოფელი. სასურველი მხოლოდ ის არის, რომ სოფელმა საშენი შესაფერი შენობა და დაადგინოს განაჩენი საქალებო სკოლის დაარსებისა ამ ორ-კლასიან სავაჟო სასწავლებელთან. სამრევლო სკოლა კი კაი ხანია გახლდათ ჩვენში, მაგრამ უკვე განისვენა წიაღსა შინა აბრაამისასა.

ის გარ

—

აბასთუმანი. მეტად ცუდ მდგომარეობაში ვართ წელს აბასთუმნის მოაგარაკენი. ამ დაბაზე ითქმის: „შორიდან მტერს უკლავს გულს და ახლოდან მოყვარესო". აქ არ მოიპოვება არავითარი გასართობი, თუ ნარდსა და ბანქოს არ მივიღებთ მხედველობაში. არ არის არც თეატრი, (შენობა კია) არც ჟურნალ-გაზეთობა. ერთად-ერთ გასართობათ დაგვრჩენია სამხედრო მუსიკა, ისიც კვირაში თითო ბაღში მხოლოდ ორჯერ უკრავს.

მეტად თამამი ხალხია აქაური სახლის პატრონები. ხშირად ისინი ორჯერა და სამჯერ აქირავებენ ერთსა და იმავე ოთახს სეზონის განმავლობაში. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ოთახში ჭლექიანი დგას. როდესაც ის მიდის, მეორე დღესვე ოთახში ჯანსაღი კაცი დგება. არც დეზინფექციას და არც სხვა საშუალებას არა ჰხმარობენ.

წელს პირველს ხანებში ისეთი წვიმები იყო, რომ ბევრს შეუცვალა აბასთუმანში წასვლის აზრი. აქ მოსულებსაც აკრეფინა ბარგი-ბარხანა და უკანვე გააბრუნა, მაგრამ ეს რამდენიმე დღე კარგი დარები დაიჭირა. მოაგარაკეებმაც იწყეს მოსვლა. მაშ სახლის შოვნაც საძნელო იქნება. წვიმების გამო სახლის პატრონებს ისე გაუტყდათ გული, რომ კომისიონერებს იჭერდნენ და ნაცნობებს ავალებდნენ, მოიყვანეთ ვინმე და ფასი რაც გნებავთ, ის მომეცითო; მაგრამ ეხლა, ხალხი რომ მოაწყდა, ერთ ოთახში 120—130 მანეთს თხოულობენ.

ახლან

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

9 ივლისი.

ველიკი უსტიუგი. სამშაბათს უსტიუგის სასწაულთ-მოქმედის წმ. პროკოფის გარდაცვალებიდან 600 წლის თავი იდღესასწაულეს. დღესასწაული სტეფან-პროკოფის ძმობამ გამართა.

ჩელიაბინსკი. ციმბირის რკინის გზაზე, ჩელიაბინსკის ახლო, მატარებელი დაიმტვრა. დაიმტვრა ხუთი ვაგონი ერბოთი დატვირთული; ორი ცეცხლის შემკეთებელი („კასეგარი") მოკვდა. ტეხნიკს ფეხი მოეჭრა; ორი მაშინისტის თანაშემწე ორთქლმა დაუთუთქა; ხუთი კაცი მძიმედაა დაჭრილი.

ყარაქალი. ქუჩებში სამის დღის სისხლის ღვრის შემდეგ მთავრობის ჯარმა [illegible] და ბოდიგარი დაიპყრო. ბრძოლაში 1000-ზე მეტი კაცი მოჰკლეს.

ბელგრადი. ძველ სერბიასა და მაკედონიაში, სერბიის კონსულებს სალონიკსა, უსკიუბსა და პრიშტინში დაითხოვენ და იმათ მაგიერ დაინიშნებიან: რისტიჩი უსკიუბში, ბარიანტოვიჩი სალონიკში, რუქიჩი და მარკოვიჩი მონასტირსა და პრიშტინში.

ოფიციალურ გაზეთში გამოცხადებულია, 20 ახალი ბატალიონის უფროსი დაინიშნება.

რომი. პაპის არავითარი განკარგულება არ მოუხდენია ახალ პაპის არჩევნის შესახებ, ამიტომ წინანდელი დადგენილებანი აღარ გამოიცვლება.

„კორიერე დელა სერა" იუწყება: პაპის გვამის შემოწმების დროს მკერდი გაუჭრეს და იქ წყალი აღმოუჩინეს; ეს წყალი ცხადი ნიშანია, რომ პაპს პლევრიტი ჰქონია. მარჯვენა ფილტვის ქვედა და შუა ნაწილი გამაგრებული ჰქონდა. გაჭრის შემდეგ ოქმი შეადგინეს და იგივე ჩასწერეს, რაც დიაგნოზით იყო დადგენილი. პაპის ფილტვების ანთება ჰქონდა და შემდეგ პლევრიტი გაუჩნდათ.

პაპის გვამი სეფე დარბაზში დაასვენეს ბალდახინ ქვეშ.

10 ივლისი

ნეაპოლი. ვეზუვი განუწყვეტლივ ცეცხლს ისვრის და ძალიან გრგვინავს. ნეაპოლს საშიში არა მოელის-რა, რადგანაც ლავა მეორე მხარეს მიდის.

რომი. პაპის სასახლის დიდებულნი, დიპლომატიური კორპუსი და სხვა წარჩინებულნი პირნი ვატიკანში მიდიან პაპის გვამის სანახავად. საღამოს 8 საათზედ, გვამს სობორში გადაასვენებენ.

ჟიტომირი. საგანგებო კრებაზედ საბჭომ გადასწყვიტა ქალაქის ერთ-ერთს ქუჩას მწერლის კოროლენკოს სახელი დაარქვან, რადგანაც კოროლენკო ჟიტომირში დაიბადა. კოროლენკოს სახელი დაერქვა „მალაია ბერდიჩევსკაია" ქუჩას, რომელზედაც ქალების 3 გიმნაზიაა და რომელზედაც ის გიმნაზია იყო, სადაც კოროლენკო სწავლობდა, და ის სახლი, სადაც იგი დაიბადა.

კონსტანტინოპოლი. საბერძნეთის მეფის შვილი ქრისტოფორი, რომელიც აქ გუშინ ჩამოხტა, სულთანმა მიიღო. მთავრის შვილს უბოძა მეჯიდიეს პირველ ხარისხის ორდენი ბრილიანტებით.

სოფია. რამდენიმე რაზმი ამ დღეებში ცდილობდა საზღვარზე გადასვლას, მაგრამ ბოლგარელ საზღვრის დარაჯებმა დაუშალეს. რაზმის წინამძღოლი სარაფოვი დააპატიმრეს საზღვარზედ გადასვლის დროს და აქ მოიყვანეს.

კრატოვს ახლო დიდი შეტაკება მოხდა მეამბოხეთა და ოსმალთა ბატალიონს შორის. მეამბოხეებმა ნაღმით აფეთქება მოახდინეს. ბევრი დაშავდა.

დედეაგაჩიაში დაიწვა მთავრის აუდიენციის ანგარიში და [illegible].

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

გამოსადეგი ცნობანი

—

პეტერბურგის ბირჟა 8 ივლისს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.	93,75	
ბერლინზე 100 მარკაზე	—	
პარიზზე 100 ფრანკზე	—	
ლონდონზე ჩეკები	94,40	
ბერლინზე „	46,30	
პარიზზე „	—	
ბირჟის დისკონტი	5—6$\frac{1}{2}$%	
4% სახელმწიფო რენტა	98$\frac{3}{4}$	გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	100$\frac{3}{4}$	მყიდ.
4$\frac{1}{2}$% შინაგანი სესხი 1893 წ.	—	
4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ.-მამ. ბანკისა	95$\frac{1}{8}$	„
5% 1-ლი შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	444$\frac{1}{2}$	გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	341$\frac{1}{2}$	„
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა	290	„
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—	
4$\frac{1}{2}$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—	
5%-ანი ობლიგ. ბაქოს საკრედ. საზოგადოებისა	—	
ტფილ. სადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	92$\frac{1}{2}$	
4$\frac{1}{2}$% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა	—	
ქუთაისის სადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—	
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	193	„

მიმოსვლა რკინის გზების მატარებლებისა

18 აპრილიდან

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9) ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.), 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 51 წ. (7 ს. 49 წ.).

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 3 ს. 26 წ. (4 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 34 წ. (11 ს. 32 წ.).

ყარსსა და ერივანს: 1) საფოსტო № 74/76 ღამის 11 ს. 32 წ. (12 ს. 30 წ.); 2) სამგზავრო № 90/91 შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 5 ს, 28 წ. (6 ს. 21 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 23 წ. (10 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 მარტო ტფილისამდე, პარასკევობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 3 ს. 42 წ. (4 ს. 40 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 9 ს. 18 წ. (10 ს. 16 წ. 3). სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 1 ს. 08 წ. (2 ს. [illegible] წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბათ.-ტფილისისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.) 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.); 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.); 3) დღის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

შორაპანისაკენ: დღის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.).

საავადმყოფოები:

—

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხნოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელიქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა, ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას, გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენჰაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. გამგე ექიმი ისაისტოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულუდიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქჯანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

—

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

აცხადებს, რომ ამა წლის 1 აგვისტოს დილის 12 საათზე საჯარო ვაჭრობა მოხდება: იჯარით გაიცემა 400 სრულ კვადრატ საჟენ შეშის ჩაბარება. ეს შეშა ერთის წლის განმავლობაში უნდა ჩაჰბარდეს ქალაქის დაწესებულებებს, ტფილისის ადგილობრივ კომანდას და ტფილისის საკომენდანტო მმართველობას.

შეშის ჩაბარების მსურველთ შეუძლიანთ პირობები გამგეობის 1 განყოფილების კანცელარიაში ყოველ დღე ნაშუადღევის 2 საათამდე გაიგონ, კვირა და უქმე დღეების გარდა. (3—6.—2)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლ. ხოხის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, ქირურგიის, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—102)

Позв. ценз. Тифлисъ, 10 Іюля, 1903 г.

ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ.

(Электропеч. Груз. Издат. Т—ва)